

თურქმენეთის პრეზიდენტმა გურბანგულუ ბერდიმაჰამადოვმა ათასზე მეტი პატიმარი რამაზანის თვის დღესასწაულთან დაკავშირებით შეიწყალა.
პრეზიდენტმა ამის შესახებ განკარგულებას სამთავრობო სხდომაზე მოაწერა ხელი.
მან პროვინციულ, რაიონულ და საქალაქო ადმინისტრაციებს დაავალა, რომ გათავისუფლებულები სამუშაოთი უზრუნველყონ.
წმინდა ღამეებთან დაკავშირებით შეწყალებები ქვეყანაში 1999 წლიდან ხორციელდება. წელიწადში 3-4-ჯერ სახელმწიფო დღესასწაულებთან დაკავშირებით შეწყალების აქციები ხორციელდება.
უცხოეთში ერთ-ერთ გამოსვლაზე ბერდიმაჰამადოვმა განაცხადა: "თურქმენეთში პატიმრების რაოდენობა 10 ათასზე მეტი არ არის".